№ 190
ოთხშაბათი, 7 სექტემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 190
ოთხშაბათი, 7 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 0 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 6 სექტემბერი

ამას წინად ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი წერილი ფოთის საქმეების შესახებ, გამოგზავნილი „მამის თვალის“ მიერ.

რედაქციამ თუმცა დაბეჭდა ის წერილი, მაგრამ საჭიროდ დაინახა „ივერიის“ ფოსტით ეკითხა წერილის ავტორისთვის შეგვატყობინეთ ის წყაროები, საიდანაც გქონდათ ამოკრებილი წერილში მოხსენებული ამბებიო.

პასუხი უკვე გამოგზავნილი მოგვივიდა მამისთვალისაგან; ხოლო, სამწუხაროდ, მამისთვალის არც მეორე წერილი გვარწმუნებს იმ ამბების სინამდვილეს, რომელიც მან გვაცნობა.

იგი გვწერს:

I „ფოთის ნავთსადგურისათვის 4 მილიონი ფული რომ უნდა დახარჯულიყო ეს ყველა სატახტო და ტფილისის გაზეთებში იყო დაბეჭდილი; მაშასადამე, მე ეს ამბავი საზოგადო წყაროდგან მქონდა ამოწერილი ჩემის კორესპონდენციისათვის და არა მოგონილ-მოჭორიკანებული

II არ ვიცი ვის რაში დასჭირდა მოეცა ჩემთვის კითხვა „ივერიის“ ფოსტაში ამ საგნის შესახებ, თუ ნავთსადგურის საქმე ამ ზომამდე აინტერესებს, შემიძლიან ვასიამოვნო სხვა უფრო დაწვრილებულ ცნობებით.

III „ამ წელს ფოთში იყო გამოგზავნილი პეტერბურგიდგან პორტის კომისიის წევრები—ყარინცევი და ლუკოვსკოი (ეს უკანასკნელი აქედამ დაბრუნებული დაიღუპა ხომალდ „ვლადიმირთან“ ერთად). ამათ ჩამოიტანეს პირველად ნამდვილი ამბავი, ნავთსადგურის მუშაობა უნდა დაიწყოს მომავალს გაზაფხულზედაო.

IV თეკლათის მეპატრონეთ, რომელთაგანაც უნდა ჰზიდონ ქვა ნავთსადგურის საკეთებლად, როგორც ამათ სთქვეს?, ამ წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში იქნება შეტანილი ნახევარი მილიონი, ან 600,000 მანეთი.

V „ამ დღეებში, როგორც ჩვენ გავიგეთ ნამდვილის წყაროებიდგან, ფოთში მიღებულია ახალი პროექტი ნავთსადგურის გადაკეთებისა, რომელიც ეკუთვნის ნავთსადგურის კომისიის უფროსს ინჟინერს ვოზნესენსკის. ამ პროექტით ნავთსადგური უნდა გაკეთდეს ოთხს წელში და ეღირება 6 მილიონი. ნავთსადგური იქნება შემოყვანილი შიგ ხმელეთში ერთის ვერსის სიგრძით (იმ ადგილამდის, სადაც ახლა ქალაქის მაღაზიებია) და უნდა ჰყოფნიდეს 75 მილიონს ფუთს, ნაცვლად ეხლანდელის ნავთსადგურისა, რომელიც 22 მილიონს ჰყოფნის.

მამისთვალი

ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებიდგან-კი აი რა სჩანს:

I ტფილისისა და სატახტო გაზეთებში იბეჭდებოდა ხოლმე „слухи“ ფოთის ნავთ-სადგურის გაკეთების თაობაზედ და არა ნამდვილი ამბავი; ბ-ნ მამისთვალმა-კი ოთხი მილიონის გადაწყვეტა ვითომ ფოთში მიღებულ ნამდვილ ახალ ამბად მოიწერა. ტფილისის გაზეთებში პირველად ეს ცრუ ხმა შესახებ სამი მილიონის გადადებისა დაჰბეჭდა ბ-ნმა მეუნარგიამ, „Новое Обозрѣніе“-ში იანვრის დამდეგს 1893 წ. (როცა ქალაქის მოურავის ამორჩევა დანიშნული იყო ფოთში 20 იანვრისათვის 1893 წ.). მაშინ გაზეთ „Кавказъ“-ში ოფიციალურად გამოაცხადეს ამ ამბის სიცრუე. მეორეჯერ, ეხლა, მამისთვალმა ოთხი მილიონი უწყალობა აგრეთვე ფოთს. გვაჩვენეთ, „Правительств. Вѣстникъ“-ში დაბეჭდილი ბრძანება, და არა თქვენგანვე მოგონილი ჭორი.

II ვის რაში დასჭირდაო? ყველას, ვისაც მართლა ჰსურს ფოთში ნავთ-სადგური იქმნას გაკეთებული, მართლა მოწადინებულია ნამდვილი ამბავი შეიტყოს ამ საქმის შესახებ, და ეზიზღება სიცრუის გავრცელება საზოგადოებაში.

III ნავთ-სადგურის კომისიის ორი წევრი გამოგზავნილნი იყვნენ წრეულს, განსაკუთრებით, ბათუმის ნავთ-სადგურის საქმეებისთვის. ფოთში იმათ დიდი არაფერი საქმე ჰქონდათ და არაფრის გადაწყვეტა არ შეეძლოთ, არც არაფერი აზრი დაუდგენიათ, არც არაფერს დაჰპირებიან ფოთელებს. ფოთში ეს ყველამ იცის, ვინც იმათ ემუსაიფა. არაფერი ნამდვილი ამბავი იმათ არ ჩამოუტანიათ და არც 500,000, არც 600,000 მანეთი არავისთვის აღუთქვამთ. ოქმიც-კი, არავითარი შეუდგენიათ იმის შესახებ, თუ რა ნახეს ფოთში. ერთი წევრი დაირჩვა და მეორეს ცალკე რა შეეძლო? ამის გამო ბათუმის ნავთ სადგურის საქმის გამოსაკვლევად სამინისტრომ დაიბარა პეტერბურგს ბ-ნი გლინკა, კონტროლის მოხელე.

IV ღმერთმა ჰქნას, რომ გაისის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში 100,000 მანეთი შეიტანონ ფოთის ნავთ-სადგურისათვის. ეს ფული იმის მშენებელს, ბ ნს მეიერს, გბილის საჩიჩქნელად თუ ეყოფა, მეტად არა.

V საქმე იმაში-კი არ არის, რამდენი ახალ ახალი პროექტი მისდის ბ-ნ მეიერს ფოთში, საქმე იმაშია: როდის მოვესწრებით, რომ რომელიმე ამ პროექტებთაგანი საბოლოოდ დამტკიცდეს, და მის ასასრულებლად სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში სახელმწიფო საბჭომ საჭირო მილიონები შეიტანოს. ვინც ფოთში სცხოვრობს და ვისაც საქმე ესმის, იმათ ყველას გაგებული აქვთ დიდი ხანია, რომ ფოთის ნავთ-სადგურის საქმე შორსაა ამ გვარის მდგომარეობისაგან, და ღმერთმა ჰქნას, რომ რამდენისამე წლის გონიერის მეცადინეობის შემდეგ მოვესწროთ ფოთის ნავთ-სადგურის პროექტის დამტკიცებას და ამ საგნისათვის ხარჯთ-აღრიცხვაში მილიონების შეტანას. მაშასადამე, ვინც ახლა ფოთიდგან ნამდვილ ამბად იწერება, ნავთ-სადგურისთვის მილიონები მოგვცესო, ან პროექტი მოვიდაო, იგი განზრახ სიცრუეს იწერება.

ამის შემდეგ გვინდა ვკითხოთ მამისთვალს: ვისთვის ან რისთვის დასჭირდა ფოთის საბჭოს ხმოსნების არჩევანის წინა ხანს ისეთის ამბების მოწერა, რომელიც თავიდან ბოლომდე შეთხზული და განზრახ დამახინჯებული გამოდგა? თუ ეს საარჩევანო ოინია, ერთი ისეთი საშუალებათაგანი, რომლითაც კენჭოსნებზედ ჰსურდა ავტორს გავლენა ჰქონოდა,—ეს ხომ, გარდა იმისა, რომ შეურაცხყოფაა ფოთის კენჭოსნებისა, შემცდარი ანგარიშიც არის, რადგანაც ტყუილს—და მეტადრე საზოგადო საქმეში—ერთობ მოკლე ფეხი აქვს.

ამას გარდა ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებთ, რომ იმ კორესპონდენტს, რომელსაც დაუმტკიცდება, რომ განზრახ მიუწოდებია რედაქციისათვის ტყუილი ამბავი სამუდამოდ დახშული ექნება რედაქციის კარები.

სადასო ბრძოლა, თავის კანდიდატისთვის მეცადინეობა დასაძრახისი არ არის, მაგრამ ამისთვის წმიდა და ნათელი საშუალება უნდა იყოს ხმარებული და არა საზოგადოების თვალის აბმა და მოტყუება.

მეველე

## დეპეშა

5 სექტემბერი

**პეტერბურგი.** გუშინ წავიდა საზღვარ-გარეთ შინაგან საქმეთა მინისტრი; გუშინვე წავიდა ვარშავას რკინის გზით გზათა უწყების მინისტრი.

## ახალი ამბავი

*** ერთი ქართველი პედაგოგთაგანი გვწერს: „აგვისტოს მიწურულებ·

## ფელეტონი

### განა ჩემი ბრალია?

(სურათი სოფლის ცხოვრებისა)

სოფელს თ—ის მცხოვრებელნი მოსვენებულნი იყვნენ და ირგვლივ შეურყეველი მყუდროება ჰსუფევდა. ღამის დარაჯებსაც ძილი მორეოდათ და თავის უწმაწურ ყეფა, წკავ-წკავით ერთობილ სიჩუმეს არ არღვევდნენ. სოფელს ეძინა, მაგრამ აღმოსავლეთის განაპირა უბანში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლის პატრონი რაღათა ჰფხიზლობს? სახლის ეზოში რამდენიმე კაცი შედის და გადის, დიდი ფაცა-ფუცი აქვთ. ეზოში-კი ათიოდე ახალგაზდა ბიჭს მოუყრია თავი და ოხუნჯობენ, იცინიან. აგერ სახლის აივანზედ გამოჩნდა სახლის პატრონის შვილი, 23 წლის დათია. აივნიდამვე გადმოსძახა თავის ტოლებს.

— ყველანი მოხვედით?

— ყველანი! კაცო, რაღას იგვიანებ, საცაა გათენდება! შესძახა ერთმა ძირს მყოფთაგანმა.

— აი, მეც მზადა ვარ! ცხლავ ჩამოვალ. დეიდა ჩემო, აბა წავიდეთ, მოტრიალდა დათია და უთხრა სახლში მყოფ დეიდას.

დათიას დეიდა და ექვსიოდე სხვა ქალი გამოვიდნენ აივანზედ და უკან გამოჰყვნენ დათიას. ეზოში მყოფთ რაკი დაინახეს მომავალი დათია და ქალები ხმა შეაწკრიალეს და მშვენიერი მაყრული დასძახეს. ქალებმაც დაირა-მუსიკა გააჩაღეს და სანიშნობო მაყრიონმა მღერითა და დაირა-მუსიკით სოფელი გადაიარა და მეორე სოფლის განაპირა უბანში შევიდა. მაყრიონს ერთი უფრო მკვირცხლი ბიჭი ჩამოსცილდა, განზედ გადაუხვია და კოპწია ფიცრულის სახლის წინ დამბაჩა დასცალა. დამბაჩის ხმამ ოჯახის პატრონთ ნეფიონის მოახლოვება ამცნო. მაგრამ რა ამბავია, რომ სახლის კარები შეკეტილია და მახარობელს არავინ გამოეგება? მახარობელი გაშტერებული შეჰყურებდა სახლის კარს და ვერ მოეაზრა შესულიყო სახლში, თუ ისევ მაყრიონისკენ გატრიალებულიყო.

აგერ ნეფიონიც შემოვიდა სახლის ეზოში, მაგრამ მაინც სახლში არავინ მოძრაობდა... მახარობელი საჩქაროდ მიუახლოვდა ნეფიონს და ხმა ამოუღებლივ ჩაერია სიმღერაში.

მაყრიონი სახლის პატარა აივნის კიბესთან შესდგა. მაყრული სათამაშო სიმღერად გარდაჰქმნეს და სიმღერას ტაში დაურთეს... ცოტა ხნის ასეთ ლხინის შემდეგ მაყრიონი გაჩუმდა, მაგრამ სახლის კარი არ ინძრეოდა.

— ხალხო! რა ამბავია, იქნება პატარძლიანი შინ არ არიან? იოხუჯა ერთმა მაყართაგანმა.

— რასა ჰბოდავ, ნიშანი მოვიტანე და სად უნდა წასულიყვნენ... უპასუხა მეორე მაყარმა.

ამ ლაპარაკში დათია წინ წამოდგა, მივიდა სახლის კარებთან და შესძახა.

— სახლის პატრონო! კარი გაგვიღე...

სახლიდგან პასუხი არ გასცეს.

ეხლა-კი შეჩოჩქოლდა მაყრიონი. დათია კარებს მიაწვა, შეაღო და სახლში შევიდა,

— ჩვენც მოვიდეთ? მიაძახეს მაყრებმა დათიას. დათიამ პასუხი არ გასცა. დათიას დეიდა და სხვა ქალები კი დაუკითხავად ავიდნენ აივანზედ სახლში შესასვლელად. სახლის კარებში საჩქაროდ უკანვე დაბრუნებული დათია დახვდათ.

— რა ამბავია, შვილო? ჰკითხა დეიდამ დათიას.

— ეშმაკმა იცის თქვენი თავი. თქვენი გარიგებული საქმე თქვენ უფრო არ იცით, რაც იქნება?

დათია მაყრიონისკენ გამოტრიალდა და დედაკაცები კი სახლში შევიდნენ.

— კაცო, რა ამბავია, ჰკითხეს მაყრებმა დათიას.

— რა ამბავია და ჩემი თავზედ ლაფის დასხმა, ულვაშის შერცხვენა.

— მაინც არ იტყვი?

— რა გითხრათ, კაცო! აგერ შედით და იმ ელქაჯებისაგან გაიგებთ. არ გესმით რა განგაში გააქთ? ვაი, შენ დათიას? დათიამ საშინლად ამოიოხრა...

მაყრები გაოცებულები იდგნენ და ხან დათიას, ხან ერთმანეთს შესცქეროდნენ. რამდენიმე მაყარი საქმის ვარემოების შესატყობლად სახლში შევიდა. სხვანი-კი აივანზედ ჩამომჯდარ დათიას შემოუსხდნენ.

— დედავ და თვალო, რა ვიცი რა ეშმაკის ცხენზედ შეჯდა! ვინ არის ჩემი შემარცხვენელი! ვინ ურჩია იმ იუდის კერძსა, რომ ასე თავს ლაფი დაასხა თავისს საცოდავ დედ-მამას, ეუბნებოდა წუწუნით საპატარძლოს დედა დათიას დეიდას.

— მაშ არ იცით, სად წავიდა? ან როგორ. გაგეპარათ!

— რომ ვიცოდეთ, ჩვენთვისაც ხომ კარგია! აგერ რამდენიმე ხანია, რაც იმის მამა წავიდა საძებნელად და ჯერაც არ დაბრუნებულა. იმ პირქუშმა ისე ჩაიცვა ტანისამოსი, ისე მოემზადა სანიშნობოდ, რომ ხმაც არ ამოუღია და აბა, შენი ჭირიმე, რას მოვიფიქრებდით, რომ ამ დროს ასე

ში შემთხვევა გვქონდა დავსწრებოდით ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილის, სოფ. წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდას. გამოცდამ ნათლად დაგვანახვა, რა დიდი უპირატესობა აქვს თვალსაჩინო სწავლას მეურნეობისას განყენებულ სწავლასთან შედარებით; ყმაწვილები ჩინებულად და მეტისმეტის დაწვრილებით მოგვითხრობდნენ შეძენილს ცოდნას ქართულად და აგრეთვე რუსულად მევენახობიდგან, ბაღოსნობიდგან, მებოსტნეობიდგან, მეფუტკრეობიდგან და აბრეშუმის ჭიის მოყვანისას.

*** კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრი კ. ვ. იაკიმოვი ამ დღეებში წავა ტფილისიდგან და განაგრძობს სასოფლო სამმართველოთა დათვალიერებას. ამ ჟამად ბ-ნი იაკიმოვი დაათვალიერებს ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერნიის ერთის ნაწილის სასოფლო სამმრთველოებს.

*** უსინათლოთა სკოლა უკვე ტფილისს დაბრუნდა გორის მაზრის სოფ. ახალ-ქალაქიდგან, სადაც იგი მთელს ზაფხულს იყო. სოფლის სუფთა ჰაერს, როგორც ეტყობა, ძლიერ კარგად უმოქმედნია უსინათლოებზედ, რომლებიც დიდის სიამოვნებით იგონებენ სოფელში გატარებულს დროს.

*** გუშინ, ამ თვის 6-ს, ტფილისის პოლიციმეისტერს დეპეშით აუწყეს, რომ ბუხარას ემირი მირსეიდ-აბდულ-ახად ხანი გუშინ ღამ კავკავს მოვიდა თავისის ამალათი და მეორე დილით კავკავის გზით ტფილისს გაემგზავრაო. ემირს ტფილისში დღეს მოელიან. ემირისთვის გუბერნატორის სახლია მომზადებული და მის მინსტრებისა და ამალასთვის-კი სასტუმრო „კავკაზი“.

*** გუშინ ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორმა ნება დართო ქალაქის საბჭოს ტფილისში სამის დასაწყისის საქალაქო სასწავლებლების გამართვისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ სასწავლებლებში უნდა მიიღონ ბავშვები როგორც რუსები, ქართველები და სომხები, აგრეთვე მაჰმადიანები, ებრაელნი, კათოლიკენი და სხვანი.

*** აგერ უკვე რამდენიმე დღეა ტფილისში ჩამოვიდა ამერიკელ-ინგლისური ცირკი გუბერტ კუკისა და საკუთარი საზაფხულო შენობაც ააგო ვერის ხიდთან, საზაფხულო „კრუჟოკის“ პირ-და-პირ, სადაც ყოველ დღე ჰმართავს წარმოდგენებს. ცირკს ოც-და-ათამდე საუცხოოდ გაწვრთნილი ცხენი ჰყავს და ეგრეთვე გაწვრთნილივე დათვი, ძაღლები, ღორი და სხ. არტისტების მხრივ განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევენ ქ-ნი ბლანში, თვით გუბერტ კუკი, კლაუდე, ვიქტორი, სტეფანოვი და სხვანი. ცირკის წარმოდგენები დიდ ძალს ხალხს იზიდავს.

*** რაც პურის ნიხრი შეიცვალა და ერთის კაპეიკით იკლო, ჩვენის ქალაქის ყოველ მხრიდგან საჩივარი მოგვდის, მეფურნეები ისეთს პურს გვაჭმევენ, რომ კბილი არ დაეკარება ზედ: სავსეა ნამცხვარი პური ჩალა ბულათი და ათასის რამით. ამას გარდა გუნდა ცომადვე გამოაქვთ ფურნიდგან, რომ არ გამოშრეს და წონაში მეტი მოვიდესო.

*** მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს ამ ჟამად მთაწმინდის ღარიბ მცხოვრებთა მდგომარეობა, აგერ რამდენიმე დღეა წყალს ნატრულობენ. წყლის მზიდველი მუშების თავხედობას საზღვარი არა აქვს მას აქეთ, რაც წყალი ძნელი საშოვარი გახდა; მეტადრე ძლიერ უსამართლოდ ეპყრობიან საწყალს, ღარიბს ხალხს. გათენბიდგანვე მოხუცი დედა-კაცები ოცობით ელოდებიან წყალის მოსვლას მილთან, მაგრამ ამაოდ. მოვა თუ არა წყალი, წყლის მზიდველები იმათთან გააქანებენ ხოლმე, რომლებიც უფრო მეტს აძლევენ, და ეს საწყლები, რომელთაც ყმწვილები უწყალოობით ეხოცებათ, პირში ჩალა გამოვლებულები რჩებიან, ზოგი მტკვარზე შიდის და ზოგნიც უიმედოდ ბრუნდებიან სახლში.

*** გორი. ერთი უცნაური ამბავი მოხდა აქ. გორის ერთად-ერთ სომხურ სასწავლებლიდგან დაითხოვეს მასწავლებელი გრ. ხითაროვი, რომელიც თექვსმეტი წელიწადი ასრულებდა ამ თანამდებობას და ყველასაგან დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. დათხოვნის მიზეზად აქაური სომხები იმას ასახელებენ, რომ ვითომ ეპარქიის უფროსმა გამოუცხადა გრ. ხითაროვს: გითხოვთ იმიტომ, რომ ქართული ენა იცი და სომხურის არა მცოდნე სომეხ ბავშვებს შეძლება აქვთ გაგაგებინონ თავისი აზრიო. თქვენს მაგიერად ისეთს კაცს დავნიშნავთ, რომ ქართული ენა სულ არ იცოდეს, რათა უკეთ შეიძლოს გაქართველებულ სომხების გასომხებაო. ნუ თუ დასაჯერებელია, რომ თექვსმეტის წლის შრომის შემდეგ ადამიანი დათხოვნილ იქმნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული ენა იცით. ნუ თუ შესაძლებელია თექვსმეტს წელიწადს გორში ქართველთა შორის ისე ცხოვრება, რომ ქართული ენა არ შეისწავლოს, ან ენის ცოდნა განა დანაშაულია?!.

*** გუშინ წინ, 5 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, გოლოვინი-პროსპექტზედ, სამხედრო ტაძრიდგან, რომელსაც ეხლა აშენებენ, გადმოვარდა ოსმალეთის ქვეშევრდომი მუშა სიმონ ტარასოვი და იქვე სული განუტევა.

*** 5 სექტემბერს ტფილისის მცხოვრებელი დავით ალაბეგიშვილი გრიბოედოვის ქუჩაზედ ქურდულად მელიქოვის დგმურის სამზარეულოში შევიდა, მაგრამ იქვე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს მადერის ახალს ქუჩაზედ გენერალ მაიორს ეგნატე კაზლოვსკის სახლის ეზოდგან 40 მან. ღირებული ორი ბრეზენტი მოჰპარეს.

*** 5 სექტემბერს წყლის საზიდს ქუჩაზედ იპოვნეს ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

## დამაკვირდი

—

ხალხის წოდებანიც იმ გვარადვე განირჩევიან, როგორც ქვევრში ღვინო: ზემოზედ ნადუღია, ძირს—ნალექი, წმინდა მხოლოდ შუა ადგილია.

მორავსკი

**

ერთნი იმიტომ არიან დიდებულნი, რომ აშენებენ, მეორენი იმიტომ, რომ ანგრევენ.

გრიმი

**

ადამიანი პატიოსნად იბადება, მატყუარად ჰკვდება.

ვოვენარგი

## კორესპონდენცია

—

**ს. ბრეთი** (ქართლი) უთავბოლოობა, მეთაურ კაცების უყოლობა ყველა საქმეში სდევს საზოგადოდ სოფლებს და კერძოთ სოფ. ბრეთს. აგერ ორი წელიწადია, რაც აქ სკოლა არსებობს, მაგრამ ვერას გზით მკვიდრს საფუძველზედ ვერ დასდგა სოფლის გულ-შემატკივარ მეთაურების უყოლობის გამო. თუ გლეხს კარგათ ვერ აუხსნი, გულ გრილად ეტყვი, საზოგადოდ ფული უნდა გამოიღოთ და სკოლა დააარსოთო, მაშინვე უარს გეტყვის. «მე შვილი არა მყავს და ვისთვის უნდა გამოვიღო ფულიო», ამბობს ერთი. «მე კიდევ ღარიბი ვარ და რა მესკოლებაო», ამბობს მეორე. მაგრამ საზოგადო საქმისთვის თავდადებული, კეთილ-სინდისიერი შეგნებული კაცი, ყოველთვის მოაგვარებს და სისრულეში მოიყვანს ამისთანა საქმეს. მეტადრე სოფ. ბრეთში, სადაც ხალხი კარგის შეძლებისაა, ასე რომ ერთს სკოლას ძლიან კარგად შეინახავს.

ეხლანდელი აქაური ვითომ-და სკოლა ისეთ სუსტს საძირკველზეა დაყენებული, რომ ერთი ქარის შემობერვა საკმარისია იმის დედა-მიწის ზურგიდგან აღგვისთვის. აქაური თავადობა და მრავალნი გლეხთაგანნიც მზად არიან სკოლისთვის იზრუნონ, მაგრამ უთაოობის გამო შეჩერებულია საქმე. აგრეთვე უთავბოლოობად უნ. და ჩამოვართვათ აქაურებს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთელ გორის მაზრის სოფლებში ნასწავლ-შეგნებული მამასახლისები ამოირჩიეს, აქ ძველს წესს მხოლოდ იმითი გადაუხვიეს, რომ ძველს უსწავლელ შეუგნებელს მამასახლისს ჯამაგირად სამოცი თუმანი დაუნიშნეს.

არ შევვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ, რომ მირაბი (მერუე) მდ. ლიახვიდგან ამ სოფელში ჩამოგდებულის არხისა, ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევს წყლის თავის დროზე მოყვანა-მოგდებას. წინად როდესაც მირაბი არ იყო, წყალი არ აკლდა ხოლმე აქაურს მინდვრებს, ეხლა-კი მთელის კვირაობით და ხან თვეობითაც უწყლოდა რჩება არამც თუ მინდვრები, არამედ შინაური ფრინველიც. აქაურები იძულებულნი არიან შორეულ მდ. ფრონიდგან ზურგით ამოტანილი წყალი ასვან ფრინველს.

ედილლი

—

**ქუთაისი.** სამშაბათს, აგვისტოს 30, აქაურს, ესრედ წოდებულს, ახალს თეატრში წარმოდგენა გამართა ახალმა „ამხანაგობამ ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისამ“, (თუ არ ვსცდები, ეს წარმოდგენა „ამხანაგობისა“ რიცხვით მესამე უნდა იყოს). წარმოადგინეს მ. ჯორჯაძის „ჰაეროსტატი“ 4 მოქმედებიანი კომედია დ ვოდევ. „ახირებულია“. „ჰაეროსტატი“ შემდეგის შინაარსისაა: საფრანგეთის ერთის ქალაქის პრეფექტ (ნემო) მოახსენებს მისი მდივანი (ქუჯი), ყოვლად ფლიდი და ბოროტ გულის კაცი, რომ ვითომც მთავრობის წინაამდეგ საზოგადოება არსებობდეს, რომლის მოთავედაც ახალგაზდა ალფრედი (ბალანჩივაძე) იყოს. პრეფექტს ჰსურს ეს საზოგადოება ხელში იგდოს და დააპატიმროს, რათა, რასაკვირველია, ამითი მთავრობის ყურადღება დაიმსახუროს და რაკი იცის, რომ ალფრედს უყვარს იმისი ცოლი მარია (ქ-ნი ივანიძე), არ უშლის, რომ მარია ალფრედს ესიყვარულოს, ამითი უნდა საზოგადოების საიდუმლო შეიტყოს. პრეფექტი სხვა საშუალებასაც ხმარობს, უნდა გამოსტეხოს ალფრედის მამა ანტუან დიუპონი (ქუჯი) ყოვლად პატიოსანი კაცი, მაგრამ ანტუანი არ უშლის გულს და დააპატიმრებენ. ბოლოს ამ გაბმულ ქსელში გაებმიან ისევ ისინი, ვინც სცდილობდა იმის

---

ყელებს დაგვჭრიდა...

— რა ამბავია, დედი, სად არის ფიდო? შეეკითხნენ ფიდოს ცოლს შემოსული მაყრები.

— ღმერთმა რომ მეხი დასცეს ჩემ შერჩენებულს ქალს! იმის საძებნელად წავიდა.

— როგორ, საპატარძლო დაჰკარგეთ?

— ჰო, შვილო, იმის საძებნელად არის ფიდო წასული!

— ბიჭოს, ეს კარგი ამბავია? მერე სად წავიდა, არ იცოდა, რომ დღეს იმის დასანიშნად უნდა მოსულიყო დათია? ჰკითხა ერთმა მაყართაგანმა.

— დედას რომ მოუკვდეს, როგორ არ იცოდა! მეც ეგა მკლავს, რომ თქვენისთანა პატიოსან ხალხთან შეგვარცხვინა და ჩუმად გაგვეპარა.

— მერე არა სთქვა მაინც, სად ვიპარებიო, ან იქნება დათიას შერთვა არ უნდოდა, არა უთქვამს-რა? ჰკითხა ისევ იმ მაყარმა.

— რას მიბრძანებ, გენაცვა! აბა მე და ფიდოს დათია გვინდა და მშობლების წინააღმდეგ რას იტყოდა.

— არა, დედი, აქ წუწუნით არა გაკეთდება-რა! აქ სხვაც ურევია ვინმე, ალბად თქვენს ქალს სხვა ვინმე უყვარს და იმის რჩევით დაიმალებოდა სადმე...

— სწორედ ეგრე იქნება! დაემოწმნენ სხვა მაყრებიც...

— ნუ ბძანებთ მაგას, განა მაგრე მყავს გაზდილი ჩემი თებონა? წუწუნითა და ხელების სავსავით წამოიძახა თებონას დედამ.

— შენ რა იცი, დედი, ეხლანდელ ახალგაზდა ქალებს ეშმაკობით აქვთ გული გატენილი. უპასუხა მეორე მაყარმა.

— კაცო, ლაპარაკი რას გაბით, გამოდით გარეთ· დათია ერთ ოხვრა ვიშშია, თუ საპატარძლო თებონა ამაღამვე ვერ ვიპოვე თავს არ ვიცოცხლებო, კარებიდგან შემოსძახა ერთმა მაყარმა სახლში მოლაპარაკეთ და მაყრები საჩქაროდ გარედ გავიდნენ.

— აბა, ძმებო, თუ მეგობრები ხართ ჩემი, ეხლა დამეხმარენით. ჩემი გაჭირვებაც ეხლაა! სადაც და როგორც იყოს, ამაღამვე უნდა ვიპოვოთ თებონა. სოფელში იქნება, გარეთ გასვლას ვერ გაჰბედავდა... აღელვებულის ხმით უთხრა დათიამ თავისს მაყრებს.

— რაღას უცდით, წავიდეთ, ერთხმად უპასუხეს მაყრებმა.

— დეიდავ, შესძახა დეიდას დათიამ. შენ აქ მოგვიცადე, დედაკაცებიც აქ იყვნენ. სადაც იქნება, მოვნახავთ თებონას და ამაღამვე უნდა გავათაოთ საქმე...

— აბა რაღა დროს მოცდაა! ჩვენ შინ წავალთ, შვილო, და თუ იპოვნით ხვალ დანიშნე, სულ ერთია... უთხრა დეიდამ დათიას.

— არა, დეიდავ! რა პირით-ღა გამოვჩნდე ხვალ სოფელში, თუ ამაღამ არ გავათავე საქმე! თქვენ რომ ეხლა შინ დაბრუნდეთ, ჩემს მოხუცებულს დედას რაღა ეგ ელდა უნდა. არა, დეიდავ, სჯობს აქ მომიცადო.

— შენი ნებაა, შვილო.

— აბა, მაშ წავიდეთ! მიუბრუნდა დათია თავისს მაყრებს და წინ გაუძღვა.

დათია და მაყრები, როგორც გასცილდნენ ფიდოს სახლის ეზოს, წინ შინისკენ მომავალი ფიდო და იმისი ძმისწული შეჰხვდათ. დათიამ ფიდო იცნო შესდგა და ჰკითხა.

— შენა ხარ, ფიდო, რა ამბავია, ვერ იპოვეთ ქალი?

— შვილო დათია, შენა ხარ, მიეგება ფიდო! მუხლებში ჩავწყდით მე და ეს კაცი და ვერსად ვერა გავიგეთ რა, არ ვიცი ეოხერი, ასე მალე ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ... მაგრამ ოხ მეე, ერთი, შამატყობინა, ვინ არი ჩემი მტრი, ჩემი შემარცხვენელი, ვინ შეაცდინა ჩემი საცოდავი გოგო! ვინ გამოჰჭრა მთელს ოჯახს ყელი?.

— რა გაწუწუნებს, კაცო, თებონას როგორ ვერ ვიპოვით და იმ ვაჟბატონსაც ვინც ის შეაცდინა. უშენოთაც გავცემთ პასუხს, დაიძახა რამდენმამე მაყარმა.

— არა, უშავს რა ვიპოვით. შენ წამოგვყევი თან. უშენოდ ჩვენ არ დაგვანებებენ ქალს, კიდეც რომ ვიპოვოთ, უთხრა დათიამ ფიდოს.

— წამოვალ, მაშ სახლში რა შავი ქვა მინდა?

თებონას მძებნელი მალე შეერივნენ სოფელში და თავიანთის უთავბოლო კითხვა-ძებნით რამდენსამე საათში მთელი სოფელი ფეხზედ დააყენეს.. ყველა ოჯახში იკითხეს, ნათესავთან თუ გარეშესთან. სოფლის მღვდელიც კი გააღვიძეს, იმის ოჯახიც ფეხზე დააყენეს... მაგრამ ნამდვილს კვალს კი ვერ მიაგნეს... გათენება მოტანებული იყო, რომ ხელცარიელი ქალის მამა, საქმრო და სხვანი თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

თებონა?..

საცოდავმა 18 წლის ქალმა მთელი ღამე თავის-ერთად ერთ გულშემატკივარს ნათლისდედასთან გულის ცახცხით გაათენა. რად გაუხდა ასე საქმე თებონას? რამ გააბედვინა მშობლების სახლიდგან გამოპარვა. თითონაც არ იცოდა... მხოლოდ ის აზრი, რომ ამაღამ დათია უნდა იმის დასანიშნად მისულიყო, საკმარისი იყო, რომ თებონა სახლიდგან გავარდნილიყო.

თებონას დათია-კი არ უყვარდა, ეჯავრებოდა, ეშინოდა იმისი. არა ერთხელ და ორჯელ თვალ-ცრემლიანმა ვედრებით შესთხოვა თავის მშობლებს, ნუ მიმცემთ დათიას, ცოცხალს ნუ დამმარხავთო, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს იმის ცრემლს... განა ადვილია კარგის ოჯახის შვილის დაკარგვა? ფიდოს სასახელოდ მიაჩნდა დათიას დანათესავება და თე-

უფრო დაბურდვას. აღმოჩნდება, რომ საზოგადოება მთავრობის წინამდეგი-კი არა, ჰაეროსტატის საზოგადოება ყოფილა და სამეცნიერო წრე იყო თურმე შემდგარი. ასე რომ პრეფექტი და მისი მდივანიც დარჩებიან პირში ჩალა გამოვლებულნი.

ამ ახალ გაზდა არტისტებს, ეტყობოდათ, რომ სინიდისიანად მოჰკიდებოდენ თავიანთს საქმეს და რაც შეეძლოთ ეცადნათ, რომ საზოგადოება დაეკმაყოფილებინათ.

## ალაზნის არხის გამოყვანის გამო კახეთში

—

საშინელმა გვალვამ, რომელმაც წელსაც ასეთი დიდი ზარალი მისცა კახეთს, კიდევ გვაიძულა კალამი ხელში აგვეღო და ალაზნის გამოყვანის საჭიროებისათვის ყურადღება მიგვექცია კავკასიის წყლთა და მდინარეთა მმართველობისათვის, რომელმაც თავის ასეთ არა ხანგრძლივ არსებობის დროს ჩვენში უკვე ამდენი ჩინებული წყლის საქმე დაიწყო, ზოგი შეასრულა, ზოგს ამთავრებს და ზოგსაც მალე უპირობს დაწყებას. ამ ზაფხულს განგებ წავედი იქ, საიდგანაც ხალხის სიტყვით, ჩვენს დაუვიწყარს თამარ მეფეს ალაზანი გამოუყვანია მთელის კახეთის გაღმა მხარეზე და დავრწმუნდი, რომ, მართლაც, სოფელ ახმეტას ბოლოს, იქ, სადაც მდინარე ალაზანი სცემს სოფ. ხორბალას კონცხს (მდინარის მარცხნივ), მეტად ადვილად შეიძლება არხით იქმნას გამოყვანილი მთელი ალაზანი, რადგან სიმაღლე მდინარის მარჯვენა ნაპირისა ამ ადგილას ერთს ადლსაც არ აღემატება.

აღვნიშნავთ რა ამ გარემოებას, ვისურვებთ, რომ კავკასიის წყალთა და მდინარეთა მმართველობამ ამ საქმეს თავისი ყურადღება მიაქციოს, გამოიკვლიოს იგი და თუ მართლა არხის გაყვანას წინ დიდი არაფერი დაბრკოლება არ უძევს, საქმეს ხელი ჩასჭიდოს და არსებაში მოიყვანოს!

ი. როსტომაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „რუს. ვედ". სწერს:

რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეთა შორის, სადაც-კი საჭიროა უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლის დაარსება, პირველი ადგილი სამართლიანად კავკასიას უჭირავს. ვინ არ იცის, რომ ეს კუთხე რუსეთისა წარმოადგენს სრულიად განსხვავებულ ხასიათის ქვეყანას? აქ, ამ შედარებით მცირე ადგილს ნახავს კაცი საკვირველს ბუნებას, ისტორიის მიერ დატოვებულ კვალს და სამეურნეო წინსვლისა და განვითარების ნაბიჯს. ჩვენ აქამდე ძლიერ ცოტა რამ ვიცით ამ ქვეყნის შესახებ და თითქმის არც-კი ვაფასებთ. და მერე ამ ქვეყანაში, რამდენი სიმდიდრეა, რომელსაც თანდათან აღმოაჩენენ ხოლმე უცხოელნი მეცნიერნი და მკვლევარნი, რომელნიც შემთხვევით მიდიან ამ ქვეყანაში. ამ ქვეყნის ნიადაგისა და ჰავის წყალობით შესაძლოა წარმოება ისეთის სიმდიდრისა, რომელიც აქამდე ხოლოდ უცხო და შორეულ ქვეყნებში თუ მოიპოვებოდა. საკმარისია მოვაგონოთ მკითხველთ მოყვანა კავკასიაში ბამბისა და ჩაისა, გაშენება საუკეთესო და იშვიათ მცენარეთა, ბაღისა და ბოსტნისა, მოვიგონოთ საოცარი სხვა-და-სხვაობა და საუკეთესო თვისება ყურძნისა და ღვინისა, რომ ნამდვილად წარმოვიდგინოთ და დავრწმუნდეთ, რა სიმდიდრისა და სარგებლობის მოტანა შეუძლიან ამ კურთხეულ ქვეყანას, თუ-კი გონიერად ვაწარმოებთ საქმეს და რიგიანად გამოვიყენებთ მის ბუნებრივ სიმდიდრეს. საუბედუროდ, კავკასიაშიც, როგორც რუსეთის შინაგონ გუბერნიაში, მომეტებული ადგილი აქვს დათმობილი მეველებურ და პირვანდელ წარმოებას და არავითარი განვითარება და წინსვლა არ ეტყობა. ავიღოთ თუნდ მეურნეობა, ბაღოსნობა, მევენახეობა, ღვინის კეთება; ყველგან ჩანს ბუნებრივი თვისება ნაწარმოებისა ფუჭდება უვიცობისა გამო; ყველგან ლპება აუარებელი სიმდიდრე, რადგანაც ხალხმა არ იცის, როგორ გამოიყენოს იგი; ყველგან ყოველ გვარ წარმოებისთვის იხარჯება მეტი დრო, ფული და შრომა, ვიდრე საჭიროა, წარმოება რომ ნამდვილს და შესაფერს გზაზე იყოს დაყენებული. უმთავრესი მიზეზი წარმოების დაქვეითებისა და განუვითარებისა კავკასიაში განათლებულ კაცთა ნაკლებულებაა, უქონლობა კავკასიაში ისეთ ქალაქისა, სადაც თავმოყრილი უნდა იყოს ინტელიგენცია და რომლიდგანაც გავრცელდეს და მთელ კუთხეს მოეფინოს ახალი აზრი და იდეა. ასეთს ძალას მიანიჭებს კავკასიას დაარსება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა სამეურნეო და სამთო განყოფილებით. ტფილისის ქალაქის საბჭოს უკვე გადუწყვეტია სთხოვოს მთავრობას ასეთ უმაღლეს სასწავლებლის დაარსება ტფილისში. უმაღლესი სასწავლებელი თავს მოუყრის ერთს ალაგას მეცნიერების წარმომადგენელთ და მცოდნე კაცებს, აღძრავს სურვილს მთელის კავკასიის ბუნების შესწავლისას ამ ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრის წარმოებისას. ესეც ცოტაა. კარგად რომ დაუკვირდეს კაცი კავკასიის ბუნების განსაკუთრებულ თვისებად, ადვილად დარწმუნდება, რომ იქაურ წარმოების განვითარება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუ მცოდნე კაცები იქვე იქმნებიან მომზადებულნი. ბუნება და ცხოვრება კავკასიისა წარმოადგენს ისეთ განსხვავებულ თვისებათ, რომლებიც უეჭველად სახეში უნდა იქმნას სწავლის დროს; ხოლო ეს შეუძლებელია ისეთს სასწავლებელში, რომელსაც სახეში აქვს ინტერესები მთელის რუსეთისა და ყოვლად შესაძლებელი იქმნება, თუ რომ ამ გვარი სასწავლებელი თვით კავკასიის რომელსამე ქალაქში იქმნება, მაგალითად ტფილისში. გარდა ამისა, ეჭვი არ არის, რომ თვით წარმოების საქმე კავკასიაში უკეთ წავა იქ დაბადებულსა, იქ აღზრდილსა, და იქვე ნასწავლ კაცის ხელში. ეროვნული ხასიათი, ენა, ზნე-ჩვეულება და გონება კავკასიის მკვიდრ ხალხისა იმდენად თავისებურია, რომ თუ კაცი იქ არ აღიზარდა, მისთვის მეტად ძნელი იქმნება შეეთვისოს ყველა ამას და ამიტომ ადვილად შესაძლებელია ათასი მოულოდნელი შეცდომა მოუვიდეს და ძლიერ კარგად მოფიქრებული და კარგად დაწყობილი საქმე გააფუჭოს და ჩაშალოს. პირიქით, იქ დაბადებულ კაცისთვის უფრო ადვილი იქმნება საქმის წარმოება, რადგანაც მან უკვე გამოცდილებით იცის ყველა საჭირო პირობანი და ეს გამოცდილების მოპოვება მისთვის ძნელი არ არის და არც არაფრად უღირს. არ შეიძლება აგრეთვე სახეში არ მივიღოთ ინტერესები თვით მოსწავლე ახალგაზრდობისაც. კავკასიაში არა ნაკლებ არსებობს ახალგაზრდობას შორის სურვილი უმაღლეს სწავლის მიღებისა; სწავლის მსურველნი ასობით მიდიან ეხლაც რუსეთის სატახტო ქალაქებში. ეხლა ვნახოთ, რად უჯდებათ ამათ ეს სურვილი. თავი დავანებოთ იმ ხარჯს, რომელიც უნდება კავკასიიდგან სატახტო ქალაქებში მოსულ ახალგაზრდობას და მოვიგონოთ, რამდენი ჭირი და ვარამი უნდა გამოიაროს ახალგაზდა კაცმა, ვიდრე უცხო ჰავას შეეთვისება და რამდენი შეიქმნება ხოლმე მსხვერპლად და უდროოდ ესალმება წუთი-სოფელს.

თუ ყველა ამას სახეში ვიქონიებთ, არ შეიძლება სულით და გულით არ ვისურვოთ, რომ შეწყნარებულ და აღსრულებულ იქმნას ტფილისის ქალაქის საბჭოს თხოვნა, რომელიც მეურნეობის მინისტრს მიერთმევა უმაღლეს მთავრობასთან წარსადგენად. სიშორე სატახტო ქალაქებისა, განსაკუთრებული ხასიათი და თვისება ქვეყნისა, ბუნებრივი სიმდიდრე და მეტად ნაკლები წარმოება—ყველა ეს საკმარისი საბუთია, რომ ტფილისს სხვა ქალაქებთა შორის მიეცეს უპირატესობა და იმედი, რომ დიდის ხნის მისი სურვილი განხორციელდება და მალე ექმნება უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი. იქმნება, არც ერთ ქალაქში არ იყოს ისე სასარგებლო უმაღლესს სასწავლებლის დაარსება, როგორც კავკასიის შუაგულ ქალაქ ტფილისში.

## რუსეთი

—

საერო განათლების სამინისტრომ მიჰმართა ყველა უნივერსიტეტის საიურიდიო ფაკულტეტებს და სთხოვა, თქვენი აზრი შეგვატყობინეთ შესახებ იმასა, საჭიროა თუ არა ყველა უნივერსიტეტებში ვასწავლოთ ის კანონები, რომელიც მიღებულია ბალტიის ზღვის ნაპირას მდებარე ადგილებშიო. ამ კითხვაზედ ოდესის უნივერსიტეტის საიურიდიო ფაკულტეტს უპასუხნია, რომ ბალტიის მხარეს კანონებს გარდა, საჭიროა უნივერსიტეტებში ასწავლონ ყველა სხვა ადგილობრივი კანონებიც და საჭიროა ამ საქმისთვის ცალკე კათედრებიც დაარსდესო.

—

სამკურნალო საბჭოს ერთს წევრს წარუდგენია პროექტი შესახებ იმისა, რომ მდაბიო ხალხს წაუკითხონ ხოლმე ლექციები შესახებ სხვა-და-სხვა გადამდებ ავადმყოფობის წინაღმდეგ საშუალებათა. ამ პროექტის აზრით, ლექციების წაკითხვით უფრო ადვილია მდაბიო ხალხმა ისწავლოს საშუალებანი ყოველ გვარ გადამდებ ავადმყოფობათა წინაღმდეგ, ვიდრე წიგნებისა და ბროშურების შემწეობით.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის გაზეთები დიდს მნიშვნელობას არ აწერენ გრაფ პარიჟელის სიკვდილსა. ყოველ სხვა დროსაო,—ამბობს გაზეთი „Temps"-ი,—სიკვდილი საფრანგეთის ტახტის იმ მოცილესი, რომელიც ისე საშიშად მიაჩნდათ, რომ საფრანგეთიდგანაც-კი განაძევეს, დიდად საყურადღებო იქმნებოდა. მხოლოდ ეხლა-კი, როცა მონარქისტთა აზრები დაეცა ჩვენს ქვეყანაში, გრაფ პარიჟელის სიკვდილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვერც მომხრენი და ვერც მტერნი განსვენებულისა მის სიკვდილს ვერაფერს დაუკავშირებენ ისეთს, რომ მცირეოდენი გავლენა ჰქონდეს საფრანგეთის პოლიტიკაზედ. გაზეთი „Rappel"-ი სწერს: «რესპუბლიკელთა დასი უფრო მადლიერი უნდა იყოს გრაფ პარიჟისა, ვიდრე მონარქისტთა დასი, რადგანაც განსვენებული გრაფი თავის საქციელით უფრო შველოდა რესპუბლიკის წეს-

---

ბონას არას გაუგონებდა. ერთხელ ხომ კარგადაც შეტუქსა, უარი აღარ გამაგონოო. კიდევ კარგი, რომ ფიდომ არ იცოდა, რომ თებონას სხვა მოსწონდა თავის საქმროდ.... ეს მარტო თებონას დედამ იცოდა და ურჩევდა კიდეც, შვილო ტყუილად ჩაგიდვია ეგ ფიქრი გულში, მამა შენი დათიას არ აგაცდენსო. თან თებონას დედა თავისთვის ამბობდა, ბალღია და ბალღობის მეგობრობა იზიდავს ტიტიასაკენაო. დღევანდლამდის თებონას კიდევ იმედი ჰქონდა თავისის პატარაობიდგან ერთად შეზრდილის ტიტიას შერთვისა... მაგრამ დღეს? აგერ ყველაფერი მოამზადეს, თებონა უნდა დანიშნონ დათიაზედ და ტიტია.... თებონა დაუფიქრებლივ გაექანა ნათლიდედასთან... ნათლიდედის ქოხს იმიტომ მიატანა, რომ სწორედ იმ ქოხში აგერ ორი თვე იყო ტიტიამ და თებონამ ერთმანეთს შერთვის პირობა მისცეს... თითონ გადასწყვიტეს თავიანთ საქმე და მშობლებს-კი აღარა ჰკითხავდნენ?..

ნათლიდედამ იცოდა თებონას ამბავი, იმიტომ მიიღო კიდეც სახლში და დამალა. თებონას მძებნელებმა აქაც იკითხეს, მაგრამ რაკი ნათლიდედამ უარი უთხრა, დღეს თებონა თვალითაც არ მინახავსო, დათია და ფიდო ქოხში არ შესულან, მალე უკანვე დაბრუნდნენ. იმათ წასვლისათანავე ნათლი დედამ თავისი ნათლია წალოდგან გამოიყვანა. თებონას შიშისაგან სახე გაჰფითრებოდა და მთლად ცახცახებდა.

— ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა, დამშვიდდი, ნათლიდედა გენაცვალოს! ამშვიდებდა თებონას ნათლიდედა.

— რა ვქნა, ნათლიდედ, როგორ დავმშვიდდე! დღეს დავემალე, ხვალ მიპოვიან და ჩემის მშობლების ამბავი ვიცი, ნებით თუ არა, ძალით მიმათხოვებენ...

— მაინც რასა ჰფიქრობ, ტიტია ხომ არ გინახავს დღეს?

— არ მინახავს, მაინც ის რას მიშველის, ერთი საწყალი უნათესაო ბიჭია. . ურჩიო მომიტაცოს.., გავიქცეთ... ხომ იცი, დათიასა და ჩვენებსაც ბევრი ნათესავები და მეზობლები ჰყავთ, დაგვეწევიან და არც ერთს ცოცხალს არ დაგვარჩენენ...

— რათა, შვილო, მაგრეც ნუ! განა შენს მშობელებს რომ უთხრა, უარს გეტყვიან?

— ნუ მეტყვი ნათლიდედ! ერთხელ ვსთქვი და ის შენს მტერს, რა დღეც მე დამაყენეს... საწყალს ტიტიას საცოდავი მკვდარი და ცოცხალი მთლად გაულაფეს! ან განა არ იცი, რომ შეძლებულ ოჯახიშვილ დათიასთან, სხვისი მოჯამაგირე ტიტია არ მოეწონებათ? ჯანი და სული წაუვიდეს დათიას ოჯახს და იმას ქონებას, ნეტავი შენი სიცოცხლით ტიტია ეხლა აქ მაინც იყოს?

— მაშ სად არის?

— ქალაქში საქმეზედ გაუგზავნია, ვისთანაც მოჯამაგირეთ არის და როგორც მითხრეს, ერთ კვირაზედ ძლივს მოვაო.

— კიდეც იმიტომ, დრო შეურჩევია მამაშენს...

— მეც ეგა მკლავს! აქ მაინც იყოს, ერთი მენახა, მეთქვა ჩემი გულის დარდი და ვარამი იქნება ეშველა რამე... ქვეყანაა, ასე ძალაობა განა შეიძლება!

— არა, შვილო, გირჩევ დაშოშმინდე, პატარა დაიძინე და დილაზედ ღმერთმა რაც გვამცნოს, ისე მოვიქცეთ...

— რა დამაძინებს ნათლიდედ! ლამის არის გავგიჟდე... თავი მოვიკლა, წყალში გადავარდე... თუ რა... არ ვიცი... რა ვქნა მეჯავრება... მეზიზღება დათია... ვიცი-კი, დღეს თუ გადავრჩი, ხვალ... თებონამ უცებ საშინელი ქვითინი ამოუშვა...

ბევრი ეცადა თებონას ნათლიდედა დაემშვიდობინა თებონა, მაგრამ ამაოდ... თებონა დაოსდა, მოუძლურდა, დასუსტდა ტირილისაგან და იქვე ტახტზედ ჩაეძინა... მეორე დილამდი მშვიდად ეძინა თებონას. რაღაც სიზმარმა, სახე გამოუცოცხლა და ჩვეულებრივი ელფერი დაუბრუნა... სწორედ რომ მშვენიერი იყო მძინარე თებონა... მოხდენილს სახეს მკრთალი სანთლის შუქი დასდგომოდა და გაღიმებული ვარდის ფერი ტუჩები უთამაშებდა...

კარგა წამომზეურდა, რომ თებონას ისევ ეძინა... ძილში უცებ შეხტა და გამოეღვიძა... სამჯერ პირჯვარი გადისახა, „ღმერთო, მიშველეო", დაიძახა და ტახტიდამ ჩამოვიდა.

იმის ნათლიდედა გარეთ ეზოში რაღაცას ჩხირკედელაობდა. თებონამ მიიხედ-მოიხედა, მოაგონდა გუშინდელი დღე, ღამე და საშინლად დაღონდა...

ნათლიდედამ შენიშნა თებონა და სახლში შემოტრიალდა.

— ხომ კარგა გეძინა, ნათლი?

— ნეტავი-კი არ გამომღვიძებოდა.

— რათა სცოდავ, შვილო! განა ცოდვა არა ხარ?

— ჩემ საცოდაობას ვინ უგდებს ყურს, ჩემო ნათლიდედ! ჩემთვის ბედნიერება მოისპო. გუშინ გადავრჩი, მაგრამ დღეს-კი გათავებულია... წავშავდე შინ, თორემ აქ თუ მნახეს ჩვენებმა, შენც-კი გაგაბიაბრუებენ და განა ჩემით შენ რად უნდა შესწუხდე.

— მეც გამოგყვები, იქნება უშველოთ რამე შენ ყოფას!

— არა, ნათლიდედ, ტყუილიღაა ეხლა ცდა. გათავებულია ჩემი საქმე... ამაღამ... მაგრამ ნახვამდის, ნათლიდედ...

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ჩემო ნათლიავ!

(დასასრული იქნება)

წყობილების გაძლიერებას, ვიდრე დამხობას.» გაზეთი «Autorité» ამბობს: «გრაფ პარიჟელის სიკვდილი დიდი უბედურებაა საფრანგეთისთვის». რა გზას დაადგება ჰერცოგი ორლეანისაო, კითხულობს გაზეთი «Gasette de France?» იგი იმოქმედებსო,— პასუხს იძლევა გაზეთი «Paris»-ი. მისი მამა ბევრსა კითხულობდა და ბევრსა სწერდა, შვილი-კი მეცნიერება და ლიტერატურას მოქმედებას ამჯობინებს. ეჭვი არ არისო, დასძენს ეს გაზეთი, რომ ჩვენ მოწმენი შევიქმნებით ორლეანის დასის ახალ მოქმედებისა.

—

**კორე.** იოკაჰამიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ კორეს მეფემ შეიწყნარა იაპონელთა თხოვანა: გაუქმებულ იქმნეს მონობა, ნება მიეცეთ ქვრივებს მეორედ დაქორწინებისა და გაუქმდეს ის კანონი, რომლის ძალითაც, ოჯახის ყველა წევრი პასუხის მგებელი იყო ერთის წევრის დანაშაულობის გამო.

## ხოპის იარმუკობა.

10 აგვისტოს დაიწყო ურმებმა და ფურგუნებმა ჰაპანწყვეტით სავაჭრო საქონლის ზიდვა, მრეწველთა და მწარმოებელთა მოძრაობა, გასჭრა „ივერიის“ წამალმაც: კარავი გაქირავდა თითო თუმნად. სადვინე და სხვა 6—6 მანეთად, რისგამოც ვაჭრები წელს მეტნი იყვნენ. გლეხობას მიეცა ნებასაქონლის გაყიდვისა. ნავზედ პირ-იქით მეტსაც ახდევინებდნენ, სულზე 2—5 კაპეიკს. ათასობით გაიყიდა ყოველ გვარი საოჯახო თიხის და ხის ხარატული ჭურჭელი.

ერთობ ძირს დასწიეს ქუთათურ „ჩარჩ“ ურიებმა აბრეშუმი, დედაკაცებს ხელიდგან ართმევდნენ, თითქო ერთი მეორეზე მეტს ფასს იძლეოდესო. „ქსანი“ (1¹/₂ გირ.) აბრეშუმი სამ აბაზად დაინარჩუნეს; ხოლო ესრედ წოდებული „გული აბრეშუმი“ 6 აბაზიდგან 2 მანეთ ზევით არ უყიდნიათ, ასე რომ ფუთი აბრეშუმი 32—50 მანეთად იგდეს ხელში. ამიტომ აბრეშუმის მწარმოებელნი ძლიერ გულ-ჩათუთქულნი იყვნენ...

ახალი თესლის აბრეშუმი ფუთი 100 მანეთად გაიყიდა. ამ თესლის აბრეშუმი პარკად ერთმა ბერძენმა 60 ათასის მანეთის იყიდა ზუგდიდის მაზრაში, რათა ერთი ორად და სამად მოიგოს.

ახალ-ციხის მაზრის, ლეჩხის საზოგადოების «იაილა»-დგან მორეკილი ბატკანი, იქ, ოთხ-აბაზიანი, აქ, 3 მანეთად გაჰყიდეს მეგრელებმა. მიკიტნებს პურ-ღვინოს სიძვირეს უჩიოდნენ: იმერული ღვინო, თუნგი ორ აბაზიანი, ექვს აბაზად ისყიდებოდა; გირვანქა პური — შაურად; ძროხის ხორცი „ოყა“ (3 გირ.)— 18—20 კაპეიკად. ჩხუბი და აყალმაყალი არა მომხდარა-რა.

წლევანდელი სიმინდის ფასის დაცემა ერთობ ძლიერ დასტყობიათ: მწარმოებელთა და მრეწველთა და საზოგადოდ ყველას, რადგან ძლიერ ნაკლებად იყვნენ მყიდველნი.

ახალს ნაყოფს: სიმინდს, ღვინოს, ხეხილს საკმაოდ მოელის ხალხი, თუ ღმერთმა აჩუქა და დაიფარა აღმოსავლეთის ქარისაგან.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაძრის დღეობაზე, ჩვეულებისამებრ, ეკკლესიის ეზო არ იყო განათებული, ორი შაურის ნავთი ვერ გაუმეტნიათ. სვეტზედ წამოწოლილი ფანარი ყველას ცხადად უმტკიცებდა: დღეობის და საზოგადოების აბუჩად აგდებას...

სად იყო სანთელი?! ერთ გირვანქა სანთელში სამ მანეთს ფულს იძლეოდნენ, რომ გაენათებინათ ეკკლესია და ეზო, მაგრამ საეკკლესიო კრებულმა ვერ დააკმაყოფილა საზოგადოება, რადგან აქ, ფიქრადაც არავის მოსვლია 2—3 გირვანქა საეკკლესიო სანთლის ყიდვა და გაყიდვა მაშინ, როდესაც ასჯერ ამაზე უდაბნესი სოფლის ეკკლესიებს აქვს დაკვლებული, რომ გასასყიდი სანთელი იქონიონ...

მეტად საჭირო იყო განათება შესავალ კარებთან, სადაც აქეთ-იქით ისეთი ორმო-ჩორროებია, რომ ადამიანი თუ ჩაიჭრა, ფეხს მოიტეხს. ამის გასწორება სულ 5—6 მანეთის საქმეა. საეკკლესიო კრებული ყოველ დღეს ჰხედავს ამას, მაგრამ მაინც ყურადღება არ მიუქცევია.

დღეობაზე, ამ დიდებულ მხატვრობის ტაძარში წვიმა კოკურად ჩამოდიოდა. საკრებულო სახლებში ადამიანი წვიმისაგან თავს ვერ დაიფარავდა, გარდა საწინამძღვრო სახლისა, და ისიც ხომ გამოკეტილი იყო...

გაისმა დრტვინვა მლოცავთა: „ნეტავ, რას უშვრებიან ამდენს შემოსავალს, ან მლოცავთაგან, ან იარმუკისაგან, ან ყოველ წელს საზოგადოებაში შეკრებილს ფულსაო?! აქ არც ეკკლესიას და არც იმის შენობებს არ აჩნია არავითარი შეკეთება?! რატომ არ არის, თვით წინამძღვარი, ტაძრის დღეობაზედ მაინც, რომ დაგვაკმაყოფილოს დღეობის შესაფერად, წირვა-ლოცვითო, მაშინ, როდესაც სხვა თანამდებობა არ აწუხებსო?!“

ისიც შენიშნეს, რომ ამ დიდებულ ტაძრის ბჭე და გალავანი, ეკკლესიის მოთავეს საკუთარის ძროხების და ცხვრების ბაკად გაუხდია, რომლითაც შეურაცხყოფილია: ეკკლესია ღვთისა და საფლავნი, სადაც დათესილია ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა სხეულნი, სახელოვანთა წინაპართა ჩვენთა, მომავალის აღდგომისათვის „დაეთესვის ხორცი მშვენიერი და აღსდგების ხორცი სულიერი“ (კორ. 15—44, 45)

არ არის ქვეყანაზე ისეთი, ადამიანი, რომ პატივცემით არ ეპყრობოდეს სახლფლაოს, როგორც ეს ღმერთმა მოსეს უბრძანა: „აღიხადენ ხამლნი ფერხთაგან შენთა, ადგილი ესე, რომელზედაც შენ სდგა ხარ, წმიდა არსო“. მაგრამ, ვისაც სარწმუნოება, სასოება და შიში ღვთისა არა აქვს, უეჭველია არც ეკკლესიისა, არც წინაპართა საფლავისა და არც ხალხის პატივისცემა ექმნება...

ღვთის მლოცველი

## დეპეშა

6 სეპტემბერი

**ლონდონი.** სეულიდან დეპეშით იწერებიან გაზეთებში, რომ იაპონიელებმა იერიში მიიტანეს შაბათს განთიადის ჩინელთა ლაშქარზე კინგიანგთან. იაპონელები ორივ მხრით გარს შემოერტყენ ჩინელებს და აიღეს ბანაკი იერიშით. ოცი-ათას ჩინელებისაგან, რომელთაც ეჭირათ კინგ-იანგი თექვსმეტი ათასი მოკლეს დასჭრეს და დაატყვევეს. იაპონელებს დააკლდათ ოც-და ათი კაცი მოკლული და ორას სამოც-და-ათი დაჭრილი.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,43 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 | 149 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 240¹/₂ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 192¹/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — , |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

## სკოლა

ტფილისის საურთიერთო დამხმარებელ მასწავლებელთა და აღმზრდელ ქალთა საზოგადოებისა

გადავიდა ტერ-ასატუროვის სახლიდგან ველიამინოვის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც მესამე გიმნაზია იყო (ქალაქის სახლის გვერდით).

ორივე სქესის ყმაწვილები მიიღებიან (სომხურსა და ქართულს განყოფილებიში) არა ნაკლებ 6 წლისა და რუსები (უმცროსსა და საშუალო განყოფილებაში) არა ნაკლებ 7 წლისა—22 აგვისტოდგან (დილის 10 საათიდგან 12 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 6-მდე).

სწავლა დაიწყო 1 სექტემბრიდგან. ყმაწვილები მზადდებიან ყველა საშუალო სასწავლებელში მისაღებად.

(1—6—1)




პუდრა „ჰიგიენა“
მშვენიერი სურნელოვანებისა,
პირისახეს არ დაეტყობა.

ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ.
Гл. складъ: С.П Б. Александр. площ. 9
МОСКВА, Никольская, д. Шереметева
ВАРШАВА, Новый Свѣтъ, 37

(9—15—1)

გამოვიდა და ისყიდება

## კრებული

მოთხრობებისა

თარგმანი

ა. ნიკიტინისა

წიგნი პირველი

ფასი სამი შაური

(10—3—3)




ვერცხლისა




ოქ



ტფილ. გამოფენა.




# ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უკზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრად, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრეს მუნთო ვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანქით, სადაც ობოლთა მზარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად აჭუჭლის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—13 ალალო თუთაევი

РЕДАКЦІЕЙ „ВѢСТНИКА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“
ПРЕДПРИНЯТО

НОВОЕ ОБЩЕДОСТУПНОЕ ИЗДАНІЕ

собранія сочиненій избранныхъ иностранныхъ писателей.

Цѣль этого изданія дать возможность русской читающей публикѣ пріобрѣтать ПО НЕБЫВАЛО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ сочинеeія образцовыхъ иностранныхъ писателей, собранныя вмѣстѣ въ соотвѣтственномъ числѣ томовъ удобнаго формата, доброкачественной внѣшности, въ безукоризненныхъ переводахъ, сдѣланныхъ впервые и заново. Ежемѣсячно 15-го числа будетъ выпускаться по два тома сразу, что составитъ ВЪ ГОДЪ 24 ТОМА (не менѣе 480 листовъ или около 8,000 страницъ въ 8-ю долю). Такимъ образомъ подписчики на это изданіе постепенно, въ непродолжительномъ времени, могутъ составить себѣ цѣлую библіотеку произведеній главныхъ и выдающихся корифеевъ всемірной литературы.

Въ настоящее время ОТКРЫТА ПОДПИСКА НА:

1) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ АЛЬФОНСА ДОДЭ

въ 12-ти томахъ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 р. съ доставкой и пересылкой 4 р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

2) СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ТЕККЕРЕЯ

въ 12-ти томахъ.

Цѣна за 12 томовъ только по подпискѣ 3 р. съ доставкой и пересылкой 4 р.

1-й томъ выйдетъ 15 октября 1894 г., остальн. 11 том. будутъ выпускаться 15 числа каждаго слѣдующаго мѣсяца, а все изданіе окончится 15 сентября 1895 г.

Подписывающіеся на оба изданія вмѣстѣ (цѣна 6 р., съ доставкой и пересылкой 8 р.) пользуются разсрочкой платежа при подпискѣ вносится 3 р., 15 декабря 1894 г. 3 р., а 2 р. за доставку и пересылку 15 марта 1895 г.

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за ручательствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ редакціи «Вѣстника Иностранной Литературы», С.-Петербургъ, Верейская ул. (собствен. д.) и въ конт. редакціи—Гостиный дв Зеркальная л., 63, магаз. Пантелеева (прот. Пажескаго корпуса); въ Москвѣ—въ конторѣ Печковской, Петровскія линіи.

Редакторъ Ѳ. И. Булгаковъ. Издатель Г. Ѳ. Пантелеевъ.

(8—4)


Дозволено цензурою Тифлисъ, 6-го Сентября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.